



№ 1გ/1242-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

18 ოქტომბერი 2017 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ
გიორგი კვახაძის მდივნობით,

პროკურორ - ბაჩანა ქარქუზაშვილის,
ადვოკატ - ე. კ.-ს,

ბრალდებულ - გ. ტ.-ს მონაწილეობით,

ზეპირი მოსმენით, ღია სასამართლო სხდომაზე, განვიხილე ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლალი ბესტავაშვილის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებაზე, ბრალდებულ გ. ტ.-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. კ.-ს საჩივარი

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს ქარელის რაიონული სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №027020917001 საქმე გ. უ.-ს ძე ტ.-ს (დაბ.: 19XX წლის XX აპრილს, პ/ნ XXXXXXXXXXXX) მიმართ.

აღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 04 სექტემბერს გ. ტ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობისათვის, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე, 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ (იხ.: დადგენილება პირის ბრალდების შესახებ).

საქმის მასალების მიხედვით აღნიშნული გამოიხატა მასში, რომ 2017 წლის 02 სექტემბერს დაახლოებით 14:00 საათზე, ე. ქ.-ში, ვ.-ს ქუჩა N-X მდებარე საკუთარ საცხოვრებელ სახლში, გ. ტ.-მ ჩაიდინა ოჯახური ძალადობა მეუღლის - ე. კ.-ს მიმართ. კერძოდ, ორსულად მყოფ მეუღლეს, ე. კ.-ს სახის არეში ორჯერ დაარტყა ხელი, რის შედეგადაც იგი წაიქცა, რამაც ამ უკანასკნელის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.



ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 04 სექტემბრის განჩინებით **გ. ტ.-ს** აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა. წინასასამართლო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 18 ოქტომბერი, 12:00 საათი.

2017 წლის 05 ოქტომბერს, ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა **ბაჩანა ქარქუაშვილმა** შუამდგომლობით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ბრალდებულ **გ. ტ.-ს** მიმართ 2017 წლის 18 ოქტომბერს დანიშნული წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება 2017 წლის 18 დეკემბრამდე.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლალი ბესტავაშვილის 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით **გ. ტ.-ს** ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე გაგრძელდა წინასასამართლო სხდომის ვადა და წინასასამართლო სხდომა დაინიშნა 2017 წლის 18 დეკემბერს, 13:00 საათზე. ამასთან, ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლალი ბესტავაშვილის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე - პატიმრობა დარჩა ძალაში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების მართლზომიერების შეფასებისას აღნიშნა, რომ ბრალდებულ **გ. ტ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიებად გამოყენებული პატიმრობის გაუქმების ან მისი სხვა აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძველი არ არსებობს. დაცვის მხარის მიერ იმის აღნიშვნა, რომ ბრალდებულს აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და, რომ მისი დიაგნოზი არის მძიმე, ასევე იმის ხაზგასმა, რომ დაზარალებული ითხოვს თანადგომასა და მატერიალურ დახმარებას, რისი უზრუნველყოფაც ბრალდებულს გათავისუფლების შემთხვევაში შეუძლია, სასამართლომ არ მიიჩნია იმ სტანდარტით დასაბუთებულ არგუმენტად, რომელიც შეიძლება აღკვეთის ღონისძიების გაუქმების საფუძველი გახდეს. სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობა სახეზეა. ახალი გარემოება, რაც გამორიცხავდა იმ შესაძლო საფრთხეებს, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა პატიმრობის გამოყენება, კერძოდ - ეს იყო შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და პროცესის მონაწილეებზე გარკვეული სახის ზეწოლის საფრთხე - კვლავ სახეზეა.

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ბრალდებულმა **გ. ტ.-მ** და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა **ე. პ.-მ**, რომლებიც ითხოვენ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გაუქმებას და 2017 წლის 18 ოქტომბერს დანიშნული წინასასამართლო სხდომის ვადის ორი თვის ნაცვლად ერთი თვით გაგრძელებას.

საჩივარში მითითებულია, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე წინასასამართლო სხდომის თარიღის ერთ თვემდე გაგრძელება საკმარისია, ვინაიდან საქმეზე გამოძიება დასრულებულია, აღარ არის ჩასატარებელი რაიმე საგამომიებო მოქმედებები, ბრალდებულს ჩაუტარდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის დასკვნასაც ელოდება დაცვისა და ბრალდების მხარე. ამასთან, **გ. ტ.** არის ინვალიდი, 2012 წლის 29 ოქტომბრიდან იმყოფება შპს „გ.“-ში აღრიცხვაზე. ბრალდებულს კმაყოფაზე ჰყავს რვა თვის ფეხმძიმე მუცლე, რომელიც არსად არ მუშაობს, შიმშილობს და იმყოფება გაუსაძლის გაჭირვებაში.

საჩივრის განხილვის დროს, ბრალდებულ **გ. ტ.-ს** ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა **ე. პ.-მ** მხარი დაუჭირა გასაჩივრებული განჩინების გაუქმების მოთხოვნას და დამატებით განმარტა, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ის, რომ არის ინვალიდი, რის შესახებაც ცნობა წარმოდგენილია, ხოლო ცნობის დედანი გადაცემული აქვს გამოძიებას, აგრეთვე ის, რომ დაზარალებულს ბრალდებულთან პრეტენზია არ გააჩნია, რასაც მოწმობს დაზარალებულის ნოტარიალურად დამოწმებული განცხადება, არის ის ახალი გარემოება, რაც წარმოადგენს ბრალდებულის პატიმრობიდან



განთავისუფლების საფუძველს. ადვოკატმა დააკონკრეტა მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, შესაბამისად, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 04 სექტემბრის განჩინებით ბრალდებულისათვის შეფარდებული პატიმრობის გაუქმება და მისი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება ან მისთვის პირადი თავდებობის შეფარდება, ხოლო თავდებად მიუთითა საკუთარი თავი. ამასთან, ადვოკატმა მოითხოვა, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებაში ცვლილების შეტანა და წინასასამართლო სხდომის ვადის ორი თვით გაგრძელების ნაცვლად ვადის ერთი თვით განსაზღვრა. ადვოკატმა ასევე აღნიშნა, რომ გ. ტ. არის ს. -დან დევნილი მას პირველ მეუღლესთან, რომელიც იყო ოსი ეროვნების და დარჩა ც. -ში ჰყავს ოთხი შვილი, ერთი ჩამოიყვანა და ცხოვრობს ბრალდებულის დედასთან, ხოლო სამი შვილი არ გამოატანეს და ცხოვრობენ ც. -ში. იგი 2008 წლის შემდეგ გარკვეული დრო ცხოვრობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, სადაც გადაიტანა დიდი გაჭირვება, იმყოფებოდა ტყვეობაში, აწამებდნენ და აყენებდნენ შეურაცხყოფას, რის გამოც დაავადდა ფსიქიურად. იგი აღრიცხვაზე იმყოფებოდა შპს „გ. -“ -ში, იღებდა წამლებს, თუმცა ბოლო პერიოდი ექიმთან აღარ მისულა, არც წამლები მიუღია, რაც მისი აგრესიის მიზეზი გახდა.

ბრალდებული გ. ტ. დაეთანხმა ადვოკატის მოთხოვნას სრულად და დამატებით აღნიშნა, რომ არის დევნილი სამაჩაბლოდან, როგორც დევნილმა სახელმწიფოსგან მიიღო საცხოვრებელი სახლი, სადაც ცხოვრობს მეუღლესთან ერთად, რომელიც არის ოჯახის საკუთრება. მეუღლე ჰყავს ფეხმძიმედ, ელოდება მეხუთე შვილს, არ არის ნასამართლევი, არ აქვს სტაბილური შემოსავალი, ეწევა მიწათმოქმედებას, ასევე მუშაობდა კერძო სამუშაოებზე დღეში 10-15 ლარად კვირაში 2-3 დღე, სხვა შემოსავალი არ აქვს. მეუღლისთვის ხელი არ დაურტყამს, მოუვიდა კამათი, ხელი ჰკრა, ოჯახი შექმნა სიყვარულით, უყვარს მეუღლე და მის მიმართ აგრესიულად განწყობილი არ არის.

ბრალდების მხარემ, ხაშურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ბაჩანა ქარქუზაშვილმა მოითხოვა ბრალდებულის პატიმრობაში დატოვების შესახებ, ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლალი ბესტავაშვილის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინების უცვლელად დატოვება და განმარტა, რომ საფრთხეები, რაც გახდა ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველი კვლავ სახეზეა. დაცვის მხარის მიერ მითითებული გარემოებები არ არის ისეთი ახალი გარემოება, რამაც შეიძლება მისი პატიმრობიდან განთავისუფლება გამოიწვიოს.

საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა საჩივარი, მოისმინა დაცვისა და ბრალდების მხარის, ასევე ბრალდებულის განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, გააანალიზა ბრალდებულისათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის ძალაში დატოვების საფუძველიანობა და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქმის მასალების მიხედვით პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული და საქმეში არსებული მასალები ქმნის საკმარის ფაქტობრივ საფუძველს პირის ბრალდებისა და მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის, რასაც ასაბუთებს საქმეში არსებული მტკიცებულებების (ნ. ა. -ს, ი. ე. -ს და გ. რ. -ს გამოკითხვის ოქმების, დაზარალებულ ე. კ. -ს გამოკითხვის ოქმის, ბრალდებულ გ. ტ. -ს გამოკითხვის ოქმის, შემთხვევის ადგილის დათვალიერების და დაკავების ოქმების, ადმინისტრაციული წარმოების მასალების) ერთობლიობა. აღნიშნული იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ შესაძლებელია ბრალდებულ გ. ტ. -ს ჩადენილი ჰქონდეს წარდგენილი ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული. დასაბუთებული ვარაუდი კი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-11 ნაწილის თანახმად, არის საპროცესო კოდექსით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი, ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა



ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. შესაბამისად, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მოცემულ საქმეზე სრულად შეესაბამება საპროცესო მოთხოვნებს და პირდაპირ გამომდინარეობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლებიდან. ამასთან, ამავე დროს სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფორმალური საფუძველიც ბრალდებულის მიერ ახალი (ანალოგიური) დანაშაულის ჩადენისა და დაზარალებულსა და მოწმეზე ზემოქმედების მოხდენის გზით მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეების სახით.

თუმცა აღნიშნულ საფრთხეებთან დაკავშირებული რისკების ხარისხის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს მოტივაციას იმის შესახებ, რომ მოცემულ საქმეზე კვლავ იმავე მაღალი ხარისხით არსებობს ბრალდებულ გ. ტ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების საფუძვლები, როგორც ხარისხითაც იგი არსებობდა აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას ბრალდებულისათვის 2017 წლის 04 სექტემბრის განჩინებით პატიმრობის შეფარდების დროს.

საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს იმასაც, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ძალაში დატოვების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, საქმის რეალური ფაქტობრივი გარემოებები, რამაც უნდა შექმნას ან გამორიცხოს პატიმრობის ძალაში დატოვების თუ სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შესაძლებლობა. ამასთან, ყველა შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, შეფარდებული ღონისძიება უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური.

კონკრეტულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ მართალია აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელ ფაქტობრივ საფუძველთან ერთად ამჟამადაც სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფორმალური საფუძვლები, როგორცაა ახალი დანაშაულის ჩადენისა და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეები, მაგრამ არა იმ ხარისხით, რომ აუცილებელი იყოს ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება.

საკითხის განხილვისას, ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს ბრალდებულის წარსულს, მის დამოკიდებულებას ოჯახის მიმართ და მისწრაფებას, რომ შეურიგდეს დაზარალებულს. საგამომიებო კოლეგია მხედველობაში იღებს აგრეთვე მოსალოდნელი სასჯელის ზომას (ბრალის დადასტურების შემთხვევაში სასჯელის სახით მოსალოდნელია ერთიდან სამ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა, ასევე არასაპატიმრო სასჯელი) რაც არ არის რელევანტური ფაქტორი მიმალვის საფრთხის შესაფასებლად. ამასთან, მნიშვნელოვანია დაზარალებულის პოზიცია და დამოკიდებულება. კერძოდ, წარმოდგენილი დაზარალებულის ნოტარიალურად დამოწმებული განცხადებით ირკვევა, რომ დაზარალებულს ბრალდებულის მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნია და ითხოვს მის პატიმრობიდან განთავისუფლებას. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბრალდებულს გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, იგი წარსულში არ არის ნასამართლავი. ამასთან, მას (ოჯახს) საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), კმაყოფაზე ჰყავს ფეხმძიმე მეუღლე, ხოლო მეუღლეებს შორის კონფლიქტი ფაქტობრივად ამოწურულია. აღნიშნული გარემოებები კი ერთობლიობაში საგამომიებო კოლეგიის შეფასებით მნიშვნელოვნად ამცირებს მოსალოდნელ საფრთხეებს და ასაბუთებს მოცემულ საქმეზე ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეუწონლობას. მით



უფრო, რომ დაზარალებულის პოზიცია, რაც დაფიქსირებულია მის განცხადებაში აღკვეთის ღონისძიების შერჩევის ეტაპზე ცნობილი არ იყო სასამართლოსთვის, რაც რადიკალურად ცვლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, მითუმეტეს იმ გარემოების ფონზე, რომ ფაქტის უშუალო თვითმხილველი მოწმე არ არსებობს, ხოლო დაზარალებულს, როგორც მეუღლეს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება თავისი მეუღლის წინააღმდეგ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით დგინდება, რომ დაცვის მხარე სხვა გარემოებებთან ერთად ყურადღებას ამახვილებდა სწორედ დაზარალებულის პოზიციაზე და საუბრობდა დაზარალებულის ნოტარიალურად დამოწმებულ განცხადებაზე, რის დემონსტრირებასაც ახდენდა, თუმცა სასამართლომ შეფასება მისცა დაზარალებულის განცხადებას მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც იგი ითხოვდა თანადგომას და აღნიშნავდა, რომ მისი მატერიალური დაზარალების უზრუნველყოფა მხოლოდ ბრალდებულის გათავისუფლების შემთხვევაში იყო შესაძლებელი, რადგან სხვა დამხმარე არ ჰყავდა, რაც სასამართლომ არ მიიჩნია დასაბუთებულ არგუმენტად, არ მისცა შეფასება დაზარალებულის პოზიციას, რაც ხაზგასმითაა დაფიქსირებული განცხადებაში, რომ მას არ აქვს პრეტენზია მეუღლესთან და ითხოვდა მისი პატიმრობიდან განთავისუფლებას. სწორედ დაზარალებულის პოზიცია და არა მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა და დაზარალებულისა და ბრალდებულის ერთობლივი სურვილი შერიგებისა და ერთად ცხოვრების შესახებ, არის ის მნიშვნელოვანი გარემოება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბრალდებულის მხრიდან ახალი (ანალოგიური) დანაშაულის ჩადენისა და დაზარალებულზე (მოწმეზე) ზემოქმედების მოხდენის გზით მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეებს, რაც გახდა თავდაპირველად ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების საფუძველი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირის თავისუფლებაში ჩარევის ნებისმიერი ღონისძიება განხილული უნდა იქნას, ერთი მხრივ, უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მეორე მხრივ, საქმის სამართლიანი განხილვისთვის პირის თავისუფლების მნიშვნელობის ფონზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას.

ზემოაღნიშნულისა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არ არის დასაბუთებული ბრალდებულ **გ. ტ.-ს** აუცილებლად პატიმრობაში დატოვების საჭიროება.

მოცემულ ვითარებაში, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა საგამომიებო კოლეგიას სრულიად შესაძლებლად მიაჩნია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების პირობებშიც (და არა პირადი თავდებობის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს დაცვის მხარის მოთხოვნას), რაც სრულად ესადაგება, როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, ასევე მსგავსი კატეგორიის საქმეებზე საერთო სასამართლოების არსებულ პრაქტიკას. მით უფრო, რომ როგორც შიდა ეროვნული კანონმდებლობა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სარეკომენდაციო განმარტებები ცალსახად მიუთითებენ საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საგამონაკლისო ბუნებაზე.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, ევროპული სასამართლოს განმარტება პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, კერძოდ სასამართლომ განმარტა, რომ პატიმრობის გამოყენების საჭიროება უნდა ეფუძნებოდეს დამაჯერებელ და თანმიმდევრულ საფუძვლებს, რომელთა შეფასებაც კონკრეტულ გარემოებებში მოხდება (ECtHR 12 March, 2009, Aleksandr Makarov v. Russia, No.15217/07, para. 116, pg. 31). ამასთან, შეიძლება საფრთხეები არ იყოს რეალური და მყისიერი პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში. თუკი ასეთი საფრთხე არსებობს, მისი რეალურობა და მყისიერება დამოწმებული უნდა იყოს კონკრეტულად აღქმადი, დამაჯერებელი და რელევანტური გარემოებებით. რაც შეეხება მტკიცების



ტვირთვით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე „Ilijkov v. Bulgaria“ აღნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა. სწორედ ბრალდებამ უნდა ამტკიცოს იმ გარემოებების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზე და შემდგომშიც, პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, ამართლებს პირის თავისუფლების აღკვეთას. ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ, შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან (*Sargia and Yagci v. Turkey*).

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე აღებული კონვენციის ტექსტი გარანტიების ყოვლისმომცველ და სრულყოფილ ჩამონათვალს არ შეიცავს, თავისუფლებათა აღკვეთილი პირის უფლებების საზღვრები დადგენილია ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკით, რომლის მიხედვითაც, კონვენციის მე-5 (4) მუხლით დაკავებულ ან პატიმრობაში მყოფი პირისათვის გარანტირებულია მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების ეფექტიანი გადასინჯვა სასამართლოს მიერ, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების გადასინჯვას როგორც არსებითად, ისე პროცედურულად. აღნიშნული მიუთითებს პირის შესაძლებლობაზე მოხდეს მიღებული გადაწყვეტილების რევიზია, რასაც უკავშირდება სასამართლო კონტროლის უფლება, რაც პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვას გულისხმობს. ხოლო, გადასინჯვის შედეგად შესაძლებელი უნდა იყოს ბრალდებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით სწრაფი სასამართლო გადაწყვეტილების მიღება, თუკი დამტკიცდება, რომ პატიმრობა არაკანონიერი ან გაუმართლებელი გახდა გარკვეული დროის შემდეგ ან ცალკეული მოვლენებიდან გამომდინარე (*Baranowski v. Poland, 2000*). საყურადღებოა აგრეთვე ის, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს მითითებით, სასამართლომ უნდა განიხილოს არა მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო მოთხოვნების შესრულება, არამედ, ასევე, იმ ეჭვის გონივრულობა, რომელსაც ემყარება დაკავება და იმ მიზნის ლეგიტიმურობა, რომელსაც ემსახურება ეს დაკავება და შემდგომი პატიმრობა (*Brogan and Others v. the United Kingdom, 1988*).

განსაკუთრებით საყურადღებოა ევროპული სასამართლოს მიდგომა პირის თავისუფლების დაცვაში სასამართლოს როლზე. ამ მხრივ საყურადღებოა რამდენიმე საქმე, მათ შორის, საქმე საქართველოს წინააღმდეგ (*Giorgi Nikolashvili v. Georgia, no. 37048/04, para 73*), რომელშიც სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლომ უნდა მოიძიოს მყარი არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაც საქმეზე „Aleksandr Makarov v. Russia“, სადაც სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გონივრულობა უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოებების მიხედვით. განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ მაშინ, როცა საქმის გარემოებები მიუთითებენ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობაზე და აღნიშნული, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადაძლევს ინდივიდუალური თავისუფლების დაცულობის ნორმას.

საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების ეროვნულ დონეზე რეგულირების შეფასების საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ტექსტი, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა, ამასთან, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში, ხოლო გათავისუფლება შეიძლება



უზრუნველყოფილი იქნას პროცესზე გამოცხადების გარანტიებით, და, მეორე მხრივ - ევროპული სასამართლოს ზემოხსენებული (და სხვა) განმარტებები, რომლებმაც უფრო ცხადი გახადა პირის თავისუფლებაში ჩარევის შინაარსი და ფარგლები. შესაბამისად, **აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვებისას, პირის პატიმრობაში ყოფნის საჭიროება აუცილებლად მაღალი სტანდარტით უნდა იყოს დასაბუთებული.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას **ბრალდებულ გ. ტ.-ს** მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების თაობაზე და მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში აღარ არსებობს ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობა. ამასთან, სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის აუცილებელი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლების ერთობლიობა და არ არსებობს არც ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების საფუძველი. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს გირაო დანაშაულის სიმძიმის და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით კანონით დადგენილი მინიმალური ოდენობით, რაც ამ შემთხვევაში იქნება ბრალდებულის პიროვნების, მისი მდგომარეობისა და სხვა ზემოთ აღნიშნული ფაქტორების მხედველობაში მიღებით, ჩადენილი ქმედების პროპორციული და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-199-ე მუხლით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური.

რაც შეეხება დაცვის მხარის მოთხოვნას წინასასამართლო სხდომის ვადის ორი თვით გაგრძელების ნაცვლად, ვადის ერთი თვით გაგრძელებასთან დაკავშირებით, საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე, წინასასამართლო სხდომის თარიღის, როგორც განსაზღვრის, ისე წინასასამართლო სხდომის ვადის გონივრულ ვადამდე გაგრძელების ან შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე იღებს მაგისტრატი მოსამართლე, რა დროსაც ითვალისწინებს მხარეთა პოზიციას, საქმის სირთულესა და მოცულობას. ხოლო, მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება. შესაბამისად, საგამომიებო კოლეგია იხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კანონიერების საკითხს და არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს წინასასამართლო სხდომის თარიღზე, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადასაწყვეტია. ამასთან, თუ არსებობს ობიექტური გარემოება დაცვის მხარეს გონივრულად მიაჩნია წინასასამართლო სხდომის თარიღის შეცვლა (ვადის შემცირება), იგი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს შესაბამის სასამართლოს და არა სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას. შესაბამისად, დაცვის მხარის მოთხოვნა საგამომიებო კოლეგიის მიერ წინასასამართლო სხდომის თარიღის შეცვლისა და ამ კუთხით ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინებაში ცვლილებების განხორციელების თაობაზე მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, მასზე ვერ იმსჯელებს და ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-199-ე, მე-200, 207-208-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :



1. ბრალდებულ გ. ტ.-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. კ.-ს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს, ხაშურის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლალი ბესტავაშვილის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინება ბრალდებულ გ. ტ.-ს მიმართ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 04 სექტემბრის განჩინებით შეფარდებული პატიმრობის ძალაში დატოვების თაობაზე;
3. გ. ტ.-ს, ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 04 სექტემბრის განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა შეეცვალოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით და გ. ტ.-ს (დაბ.: XX.XX.XXXX, პ/ნ XXXXXXXXXXXX) მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნეს გირაო 1000 (ათასი) ლარის ოდენობით;
4. გირაოს შეტანის ვადა განისაზღვროს 60 (სამოცი) დღით ამ განჩინების გამოტანის მომენტიდან. ცნობად იქნეს მიღებული, რომ მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა დანიშნულია 2017 წლის 18 დეკემბერს, 13:00 საათზე;
5. გირაო შეტანილი იქნეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამის ანგარიშზე - სს „საქართველოს ბანკი“, კოდი BAGAGE22, ანგარიში № GE27BG0000009999999999;
6. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ოქმის გაფორმება უზრუნველყოს პროკურორმა;
7. ბრალდებული გ. ტ. დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს პატიმრობიდან, სხდომის დარბაზიდან;
8. განემარტოს ბრალდებულს, რომ მას ან მის სასარგებლოდ სხვა პირს უფლება აქვს გირაოს თანხის ნაცვლად შეიტანოს ფულადი თანხის ექვივალენტური უძრავი ქონება. თუ გირაო დადგენილ ვადაში არ იქნება შეტანილი ან უზრუნველყოფილი ექვივალენტური უძრავი ქონებით, პროკურორის შუამდგომლობით შესაძლებელია გირაო შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით;
9. განემარტოს ბრალდებულს, რომ გირაოს გამოყენების პირობის ან კანონის დარღვევის შემთხვევაში, გირაო შეიცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით, ხოლო გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში ან თუ გირაო უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, თანხის ამოღების მიზნით უძრავი ქონება აღსასრულებლად მიიქცევა კანონით დადგენილი წესით;
10. განჩინება შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
11. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე